ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

მასწავლებელთა XII საუნივერსიტეტო კონფერენცია

,,უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“

კლასგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა სკოლაში - საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი მართავს მასწავლებელთა XII საუნივერსიტეტო კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავს დარგში არსებული ცოდნისა და სიახლეების ურთიერთგაცვლის/გაზიარების ხელშეწყობას.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედ მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

კონფერენცია გაიმართება **2023 წლის 9 დეკემბერს ონლაინ ფორმატში.** შეხვედრის ბმულს მიიღებთ 9 დეკემბერამდე ელ.ფოსტის საშუალებით.

კონფერენციის მიზანია გამოავლინოს სკოლებში კლასგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საუკეთესო პრაქტიკები და შექმნას პედაგოგთა პროფესიული საზოგადოებისთვის მათი გაზიარების შესაძლებლობა.

კონფერენციის თემატიკა: **წრეობრივი და კლუბური მუშაობის ფორმატში განხორციელებული კლასგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობები.**

სამუშაო ენა:

ქართული ენა

კონფერენციის რეგლამენტი:

მოხსენება - 15 წუთი;

მსჯელობა - 10 წუთი;

მნიშვნელოვანი თარიღები:

თეზისების გაგზავნის ვადა: **2023 წლის 30 ნოემბერი**

კონფერენციის ელექტრონული ფოსტის მისამართი: pedconference@tsu.ge

კონფერენციაზე მომხსენებლად დაშვების შეტყობინება: **2023 წლის 5 დეკემბრამდე.**

თეზისების გაფორმების წესი:

აბსტრაქტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:

- წარმოდგენილი წრეობრივი/კლუბური მუშაობის ფორმატში განხორციელებული კლასგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობების შესაბამისობა სასკოლო სასწავლო გეგმასთან;
- განხორციელებული კლასგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობების მიზნობრიობა და მიღწეული შედეგები;
- განხორციელებული კლასგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობების განხორციელების ეტაპები;

ფონტი: Sylfaen

ზომა: 12

ინტერვალი: 1,5

მოცულობა: მაქსიმუმ 1 გვერდი (არაუმეტეს 500 სიტყვისა)

ასევე, აბსტრაქტში თავფურცლის სახით მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი და გვარი (პირადობის მიხედვით);

- ორგანიზაციის დასახელება, რომელშიც მუშაობთ და დაკავებული თანამდებობა;

- მოხსენების სათაური;

- ელექტრონული ფოსტა;

- მობილური ნომერი;

საკონტაქტო ფოსტა: pedconference@tsu.ge